*პროექტი*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2018 წელი

ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, დიდგორის ქუჩის გაგრძელების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) გლდანის რაიონში, გაგრძელდეს დიდგორის ქუჩა, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე



დიდგორის ქ.
X=480857.3 Y=4630800.7
X=483122.8 Y=4630809.4
1:8,500

KA011744530215718

: 0114 . #2; www.napr.gov.ge;

: 2 405 405; 08 009 009 09

**# 89811** **21 / / 2018 .**

: ,

**N2**

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 15 თებერვალს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს N **M18003187** განცხადებით მომართა მოქალაქე მალხაზ სანაკოევმა **(პ/ნ: 01004001619)**, რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობა შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი**,** ქუჩა ანდრონიკაშვილის **N18** მიმდებარედ**;** (საკადასტრო კოდით N**72.13.16.430**).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N**72.13.16.430**) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის $20^2$ მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი 1 გვერდი

პატივისცემით,

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: **03-03180827**

თარიღი: **23.03.2018**

**ადრესატი:**
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

**ასლი**
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
მისამართი: წმ. ნიკოლოზის / ნ. ჩხეიძის ქ.2

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ქალბატონ რუსუდან მირზიკაშვილს

ასლი: სამისამართო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ნინო ბახიას

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბახიას 2018 წლის 22 თებერვლის საქმე #04-03180534-03 დაკავშირებით, რომლითაც მოქალაქე მალხაზ სანაკოევის N M18003187 განცხადების საფუძველზე ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას (ს.კ.72.13.16.430).
როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან (სსიპ-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური) მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები. მოგმართავთ თხოვნით, ნახაზი მოამზადოთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ნახაზის შესაბამისად (იხილეთ დანართი).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო - სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია - კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: **03-0318082122**

თარიღი: **23.03.2018**

**ადრესატი:**
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის

უფროსს ქალბატონ რუსუდან მირზიკაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბახიას 2018 წლის 22 თებერვლის საქმე #04-03180534-03 დაკავშირებით, რომლითაც მოქალაქე მალხაზ სანაკოევის N M18003187 განცხადების საფუძველზე ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას (ს.კ.72.13.16.430).

როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან (სსიპ-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური) მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.

მოგმართავთ თხოვნით, ნახაზი მოამზადოთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ნახაზის შესაბამისად (იხილეთ დანართი).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო - სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია - კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

# ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01180922963**

თარიღი: **02.04.2018**

**ადრესატი:**
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

**ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და**

**სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს**

**ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს**

**მის:თავისუფლების #2**

**ტელ:+995(32)2 15 92 92**

**ქალბატონო თინათინ,**

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 23.03.2018 წლის #03-0318082122 (14.03.2018წ. #23-01180823882-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით.

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)



რუსუდან მირზიკაშვილი